ოქმი N10

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 30 მაისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

5. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე.

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ტ. ალექსანდრია, ლ. ლოლუა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ლ. ცატავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით მე-2 საკითხად წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შექმნას მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო და დაამტკიცოს მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება. ამ უფლებამოსილების ფარგლებში საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც განისაზღვრება საბჭოს შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება. ზემო აღნიშნული უფლებამოსილების შესახებ ასევე კომისიას წარმოდგენილი აქვს ცვლილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილებაში, რომლის მიხედვითაც საკრებულოს რეგლამენტით საკრებულოს უფლებამოსილებაში განისაზღვრება საკრებულოს უფლებამოსილება შექმნას მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო, დაამტკიცოს მისი დებულება, მოამზადოს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ღონისძიებათა გეგმა და დამტკიცოს ის. გამომსვლელის განცხადებით, დადგენილების პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ტ. ალექსანდრია, მ. ყურუა, ლ. ლოლუა)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N10 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ლ. ცატავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ტ. ალექსანდრია, მ. ყურუა, ლ. ლოლუა, გ. ხურცილავა)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N11 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც განაცხადა, რომ საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ოჯახური პირობების გამო ვერ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას და გამომდინარე აქედან სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა საფინანსო-სარევიზიო კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საფინანსო-სარევიზიო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი „პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეულის ქუჩების კეთილმოწყობის (ცემენტობეტონი) სამუშაოები“-ს შესყიდვაზე, ხობის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის 2017 წლის 8 მაისის N3 სხდომის ოქმით შპს „პრაიმ ბეტონი“ გამოვლინდა გამარჯვებულად, ხოლო 2017 წლის 17 მაისის N4 სხდომის ოქმით გამარჯვებული ორგანიზაცია მოწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად, მათვე 2017 წლის 17 მაისის N04/1832 წერილით ეთხოვათ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 5%-იანი გარანტიის წარმოდგენა. გამომდინარე იქიდან, რომ მიმწოდებლის მიერ დაფიქსირდა შესყიდვის საბოლოო თანხა 1118798,46 ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტი შეადგენს 540135,00 ლარს, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის

გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, რომლის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის გამგებელს ეძლევა თანხმობა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებაზე. გამომსვლელის განცხადებით, განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ტ. ალექსანდრია, მ. ყურუა, ლ. ლოლუა, გ. ხურცილავა, თ. გულუა)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N20 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა საფინანსო-სარევიზიო კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საფინანსო-სარევიზიო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი „ქ. ხობში ქუჩების კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოები“-ს შესყიდვაზე,

ხობის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის 2017 წლის 5 მაისის N3 სხდომის ოქმით შპს „შარა-გზამშენი პირველი“ გამოვლინდა გამარჯვებულად, ხოლო 2017 წლის 16 მაისის N4 სხდომის ოქმით გამარჯვებული ორგანიზაცია მოწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად, მათვე 2017 წლის 17 მაისის N04/1810 წერილით ეთხოვათ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 5%-იანი გარანტიის წარმოდგენა. გამომდინარე იქიდან, რომ მიმწოდებლის მიერ დაფიქსირდა შესყიდვის საბოლოო თანხა 597000,00 ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტი შეადგენს 540135,00 ლარს, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, რომლის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის გამგებელს ეძლევა თანხმობა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებაზე. გამომსვლელის განცხადებით, განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ტ. ალექსანდრია, მ. ყურუა, ლ. ლოლუა, გ. ხურცილავა, თ. გულუა)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N21 ოქმს თან ერთვის)

5. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე.

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (მ. ქარდავა) დაეკავებინა სხდომის თავმჯდომარის ადგილი, რადგანაც თვითონ საკრებულოს წინაშე წარსდგებოდა ანგარიშით საკრებულოს მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე

მოისმინეს: ე. ჯობავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ (მ. ქარდავა) მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა,

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

არადამაკმაყოფილებელი – 0

დამაკმაყოფილებელი – 0

დადებითი – 21

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ტ. ალექსანდრია, მ. ყურუა, გ. ხურცილავა, თ. გულუა)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: კ. ლატარია)

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესამე მოწვევის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლაშა ცატავა
7. ნუგზარ შუშანია
8. ლევან ქავთარაძე
9. თენგიზ აბაკელია
10. როსტევან გვარამია
11. მალხაზ ლაგვილავა
12. თემურ გულუა
13. ვასილ კუკავა
14. მალხაზ ყურუა
15. კახა მიქაბერიძე
16. მერაბ ფილიპია
17. ბეჟან ქირია
18. მელორ გელანტია
19. შადიმან ჭილაია
20. მზია ლემონჯარია
21. გენადი ზარანდია
22. იგორ გოგოლაძე
23. კახა ლატარია
24. ლეონიდე ლოლუა
25. მერაბ ნადარაია
26. გიორგი ხურცილავა